პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტანსაცმლის კერვას. კერვისათვის საჭირო ესკიზის შექმნას, მასალების ხელსაწყოების საკერავი მანქანებისა და თბურ- დანამვითი მოწყობილობების შერჩევა/გამოყენებას, ტანსაცმლის კონსტრუქციულ-ტექნოლოგიურ დამუშავებას. პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებს ხარისხისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. სპეციალისტი აღჭურვილი იქნება პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: სამუშაო ადგილის ორგანიზება სხვადასხვა ტანსაცმლის ესკიზის შექმნა

ქალის კაბის კონსტრუქციულ/ტექნოლოგიური დამუშავება მამაკაცის პიჯაკის კონსტრუქციულ/ტექნოლოგიური დამუშავება ბავშვის ქურთუკის კონსტრუქციულ/ტექნოლოგიური დამუშავება





ელექტრობა/ Electricity

სახელწოდება: ელექტრობა/ Electricity

სარეგისტრაციო ნომერი: 07313-3

პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მესამე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები:

მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრობაში/Third level vocational qualification in electricity; მისანიჭებელი კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორს შეესაბამება სფეროს “ელექტრობა ენერგეტიკა“ კოდი 0713.

პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:

მოცულობა: 52 კრედიტი, 1 წელი

არაქართულენოვან სტუდენტებისათვის: 67 კრედიტი, 12 თვე

პროგრამის მიზანია: შემუშავებული იქნას ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ელექტრობაში. პროგრამის საფუძველზე შესაძლებელია მომზადდეს კადრი დაბალი ძაბვის ელექტრობაში, მაღლი ძაბვის ელექტრობაში, მექატრონიკაში და რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობაში.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციისათვის - საბაზო განათლება;

დასაქმების შესაძლებლობები

მესამე საფეხურის ელექტრობის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში პირი შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში ელექტრულ დანადგარებისა და სხვა ელექტრულ აპარატურის მომსახურე პირად: დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს: ელექტრიკოსი ელექტროტექნიკური სისტემების მემონტაჟე შენობის ელექტრიკოსი მომმარაგებელ-ელექტრიკოსი ელექტრო-მექანიკოსი ელექტროგაყვანილობის და ფიტინგების მემონტაჟე განათების სისტემების მემონტაჟე ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის მემონტაჟე დამცავი სიგნალიზაციის მემონტაჟე ქუჩების განათების და ელექტრული სასიგნალო მოწყობილობების მემონტაჟე ასფრენ-დასაფრენი ბილიკების განათების მემონტაჟე მზის ენერგიის ელექტრული კოლექტორების მემონტაჟე.





ინფორმაციის ტექნოლოგია /Information Technology

სახელწოდება: ინფორმაციის ტექნოლოგია /Information Technology

სარეგისტრაციო ნომერი: 06112-3

პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მესამე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები: მესამე საფეხურის კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში - Third level vocational qualification in Information Technology Support;

პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:

მოცულობა: 60 კრედიტი, 10,8 თვე

არაქართულენოვან სტუდენტებისათვის 75 კრედიტი, 13,5 თვე

მიზანი: პროგრამის მიზანია, შემუშავებულ იქნას ისეთი პროფესიული პროგრამა, რომელიც ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრის აღზრდას; პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადებას, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტიკისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები. ეკონომიკური სახეების ეროვნულ კლასიფიკატორებთან შესაბამისად.

კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს:

სექცია J – ინფორმაცია და კომუნიკაცია: 62.09.0 საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები; სექცია S - სხვა სახის მომსახურება: 95.11 კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების რემონტი; 95.11.0 კომპიუტერების და პერიფერიული მოწყობილობების რემონტი.

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO): 3512 Information and Communications Technology User Support Technicians.





ბუღალტრული აღრიცხვა - Accounting

სახელწოდება: ბუღალტრული აღრიცხვა - Accounting

სარეგისტრაციო ნომერი: - 04114-3

პროფესიული სპეციალიზაცია/სპეციალიზაციები და მისანიჭებელი
კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები - მეხუთე საფეხურის
პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში - Fifth level
vocational qualification in Accounting

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით
აღნიშნული კვალიფიკაცია განეკუთვნება დეტალურ სფეროს -
„საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა“ (კოდი 0411).

პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:

მოცულობა: 99 კრედიტი, 18 თვე

არაქართულენოვან სტუდენტებისათვის 129 კრედიტი, 24 თვე
დაშვების წინაპირობა/წინაპირობები - სრული ზოგადი განათლება
მიზანი :

ჩარჩო დოკუმენტის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული
პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს და შრომის ბაზარს
შესთავაზებს კვალიფიციურ ბუღალტერს, რომელიც შეძლებს
მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო
ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის
დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა
სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.



კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: ბუღალტრულ აღრიცხვაში მეხუთე საფეხურის პროფესიული
კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო
და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის
თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მომხმარებელად. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის
განხორციელების გზით.

სტრუქტურა და მოდულები ბუღალტრული აღრიცხვის ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს მეხუთე დონის კვალიფიკაციას. მოცემულია
ზოგადი 5 მოდული 41 ჯამური კრედიტების რაოდენობით და სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი 16 მოდული 88
ჯამური კრედიტების რაოდენობით, სულ 131 კრედიტი.



მეთევზეობა/Fisheries

სახელწოდება: მეთევზეობა/Fisheries

ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი: 08305-3

პროფესიული სპეციალიზაცია/სპეციალიზაციები და

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები: მეოთხე

საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მეთევზეობაში -

Fourth level vocational qualification in Fisheries

პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

პროფესიული სტანდარტები:

თევზის მოშენების ტექნიკოსი - 08303-ს

თევზის მომშენებელ-ოპერატორი - 08301-ს

თევზისა და ზღვის პროდუქტების ლაბორატორიის ტექნიკოსი -

08304-ს

ფერმერი - 08111 -ს

მიზანი: პროგრამის მიზანია,

შემუშავებული ქნას ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამა, რომელიც მეთევზეობის სფეროსთვის უზრუნველყოფს

კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის მომზადებას შემდეგი მიმართულებებით: თევზის გადამამუშავება, ფერმერობა მეთევზეობაში,

ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში, თევზჭერა.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: „ფერმერობა მეთევზეობაში“ (Farming in fisheries) კონცენტრაციის გავლის შემდეგ

პირს შეუძლია მართოს მეთევზეობის ფერმერული მეურნეობა, დასაქმდეს ფერმერულ მეურნეობებში და საწარმოებში, ასევე

თევზსაშენებში, შეუძლია თვითდასაქმება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დასაქმების პოზიციების ჩამონათვალი და დასაქმების პოზიციები -

მეთევზეობის დარგის კვალიფიციური მუშაკები: თევზმომშენებელ-ოპერატორი, თევზმომშენებელ-ტექნიკოსი, ფერმერი-

თევზმომშენებელი

პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა: მოცულობა: 100 კრედიტი 18 სასწავლო თვე; არაქართულენოვანი

სტუდენტებისათვის 130 კრედიტი სავარაუდო 23 სასწავლო თვე





სატყეო საქმე, Forestry

სახელწოდება: სატყეო საქმე, Forestry

ჩარჩო დოკუმენტისარეგისტრაციო ნომერი: 08201-პ

პროფესიული სპეციალიზაცია/სპეციალიზაციები და მისანიჭებელი

კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები - მეოთხე საფეხურის პროფესიული

კვალიფიკაცია სატყეო საქმეში, Fourth level of professional qualification in forestry

პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ

ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო

სატყეო საქმე პროფესიული სტანდარტი

სატყეო საქმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი
მიზანი

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს კვალიფიციური სატყეო საქმის სპეციალისტს, რომელიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი უნარ-ჩვევებით და უსაფრთხოდ განახორციელებს ტყეში სატყეო სამეურნეო ღონისძიებებს, მათ შორის: ხე-ტყის დამზადებას, ტყის აღდგენის ღონისძიებებს (თესლის შეგროვება, თესვა, დარგვა, სანერგის მოწყობა და სხვა). განახორციელებს ხე-ტყის დახარისხებას, უზრუნველყოფს ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვასა და მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს მენახშირედ, ტყის მჭრელად, ხე-ტყის დამამზადებლად, მეტყევედ, ხის მჭრელად, ხე-ტყის კრეისერად, ტყის მუშად სახელმწიფო სტრუქტურაში, ასევე, წვრილ, საშუალო და მსხვილ ბიზნეს ორგანიზაციაში (ლიცენზიის მფლობელები).

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები - სრული ზოგადი განათლება

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში,

პროგრამის მოცულობა დასავარაუდოხანგრძლივობა:

მოცულობა: 48 კრედიტი 7 სასწავლო თვე;

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 78 კრედიტი 14 სასწავლო თვე;

სტრუქტურა და მოდულები

„სატყეო საქმის“ პროგრამა განსაზღვრავს მეოთხე საფეხურის პროფესიულ კვალიფიკაციას. ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს შვიდ ზოგად მოდულს (ჯამში 45 კრედიტი), ცხრა სპეციალიზაციის პროფესიულ/დარგობრივ მოდულს (ჯამში 33 კრედიტი).





მეცხოველეობა (მესაქონლეობა)

სახელწოდება: მეცხოველეობა (მესაქონლეობა)

სარეგისტრაციო ნომერი: 08110-პ

პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო

ჩარჩოს მიხედვით: მეოთხე მისანიჭებელი პროფესიული

კვალიფიკაცია: -მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

მეცხოველეობაში(მესაქონლეობაში) საკანონმდებლო ბაზა:

საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ

-- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი

მეცხოველეობის სტანდარტი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

მოცულობა: 93.5 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა: 17 სასწავლო თვე

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

მესაქონლეს შეუძლია დასაქმდეს სახელმწიფო და კერძოფერმერულ მეურნეობებში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მსხვილფეხა რქოსან პირუტყვთან. კერძოდ: მეცხოველეობის მსხვილ მექანიზებულ მეურნეობებში/ კომპლექსებში; საშუალო და მსხვილ ფერმერულ მეურნეობებში; ნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი

ინსტიტუტების, კერძო და საზოგადოებრივი კოლეჯების, ფერმერთა სადემონსტრაციო-საკონსულტაციო ცენტრების მეცხოველეობის ფერმებში; სამომშენებლო, სანაშენე მეურნეობებსა და ფერმებში, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების სადგურებში/ცენტრებში. შესაძლოა იყოს თვითდასაქმებული.

პროგრამის მიზანი: მოამზადოს მეოთხე საფეხურის სპეციალისტი რომელიც შეძლებს: ფერმის სამუშაოს ორგანიზებას, მუშაობის დროს გარემოს, შრომის უსაფრთხოების, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, საქონლის სწორად მოვლა-შენახვას, საკვებწარმოებასა და კვებასთან დაკავშირებული საქმიანობის შესრულებას, სადგომის მოწყობას, პირუტყვის მოშენებას და აღწარმოებას, მათი დაავადებათა პრევენციის ღონისძიებათა შესრულებას, ხარისხიანი და მომხმარებლისთვის უვნებელი რძის მიღებას (წარმოებას) და მის პირველად დამუშავებას. პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.





მეფუტკრე

სახელწოდება: მეფუტკრე

ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი: 08101-3

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

პროფესიული კვალიფიკაციის დონეევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მესამე

პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები:

საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო; მეფუტკრის პროფესიული სტანდარტი
მეფუტკრის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი
პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს პროფესიონალ მეფუტკრეთა მომზადება, რომლებიც დააკმაყოფილებენ დარგში მზარდ მოთხოვნებს. მეფუტკრეობის დარგთან დაკავშირებული უნარების გარდა, სტუდენტები შეიძენენ ფართოდ გამოყენებად, ზოგად/ტრანსფერულ უნარებს. ისინი აღჭურვილნი იქნებიან ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირების უნარ-ჩვევებით. პროგრამის მოდულური სტრუქტურა ხელს შეუწყობს როგორც ქვეყნის შიგნით სტუდენტთა მობილობას, ისე სტუდენტთა საერთაშორისო მობილობას.

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს საფუტკრე მეურნეობებში ან შესაბამისი პროფილის გადამამუშავებელ საწარმოში, ასევე შეუძლია საკუთარი ბიზნესის წამოწყება და თვითდასაქმება.

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია: საფუტკრე მეურნეობის მოწყობა; მეფუტკრეობისათვის სმატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა
ფუტკრის მოვლა-პატრონობა; მეფუტკრეობის პროდუქტების წარმოება
ვეტერინარულ-სანიტარიული და სანიტარიულ-ჰიგიენური, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა
საფუტკრე მეურნეობის ტექნოლოგიური და პირადი პროფესიული განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

მოცულობა: 72 კრედიტი; 13 სასწავლო თვე;

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 87 კრედიტი; 16 სასწავლო თვე





შედულება

პროგრამის სახელწოდება - შედულება

სარეგისტრაციო ნომერი 07310-3

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია შედულებაში

მიზანი - ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კარდის მომზადებას.

დასაქმების შესაძლებლობები - შემდულებლები და აირმჭრელები ადულებენ და ჭრიან ლითონის ნაწილებს აირის სანთურის, ელექტრორკალური ან სხვა გამაცხელებელი საშუალებების გამოყენებით, შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობებია შესაბამის ორგანიზაციებსა და სფეროში:

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვითშემდულებლები და აირმჭრელები -7212;

საქსტატის ეკონომიკურ კლასიფიკატორში იდენტიფიცირებული - 25ლითონის მზანაწარმის წარმოება,მანქანების და მოწყობილობებისგარდა

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

„სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა;

ასაკი არანაკლებ 17 წელი;

მესამე საფეხურის შემთხვევაში საბაზო განათლება

სტრუქტურა და მოდულები

მესამე საფეხურის პროფესიულიკვალიფიკაციის მინიჭებისთვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული/დარგობრივი მოდულების 32 კრედიტი და ზოგადიმოდულებისნკრედიტი,ჯამურად 38 კრედიტი.

პროგრამისმოცულობა და ხანგრძლივობა

მოცულობა: 38კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა: 7 სასწავლო თვე

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 53 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა: 9სასწავლო თვე



ხის მხატვრული დამუშავება

პროგრამის სახელწოდება: ხის მხატვრული დამუშავება

სარეგისტრაციო ნომერი: 02123-პ

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში

მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში განეკუთვნება დეტალურ სფეროს - გამოყენებითი ხელოვნება (ხელნაკეთობა), კოდი 0214, სწავლების სფერო - ხის მხატვრული დამუშავება;

მიზანი:

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხის მხატვრული დამუშავების სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას.

ხის მხატვრული დამუშავების პროფესიული პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს ხის მხატვრული დამუშავების კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტს, რომელმაც იცის ხის მხატვრული დამუშავებისთვის საჭირო დანადგარების, ხელსაწყოებისა და მასალის შერჩევა, ესკიზისა და ნახაზის შესრულება, კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენებით ხის ავეჯის კონსტრუირება, ესკიზის მიხედვით ხის მხატვრული კვეთა, ხის ავეჯისა და დეკორატიული ნივთების დამზადება უსაფრთხოების წესების დაცვით, ხის დაზიანებული ავეჯის შეკეთება.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

ხის მხატვრული დამუშავებაში მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს ავეჯის კონსტრუქტორად, ეკლესიების, სკოლების, რესტორნების ავეჯის მწარმოებლად, სპეციალური ავეჯის (დახლების, ვიტრინების, თაროების და მისთ) მწარმოებლად, საოფისე ავეჯის მწარმოებლად, ხის საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნოების მწარმოებლად, ხის სტატუეტების და ორნამენტების, ხის ინკრუსტაციების, ხის ფერადი მოზაიკის მწარმოებლად, ხის ყუთების, საიუველირო ნაკეთობების, სასაძილო საკუთნოების და მსგავსი ნაკეთობების მწარმოებლად.

პირს შეუძლია დასაქმდეს: ავეჯის დამამზადებელ საწარმოში, ხის დამამუშავებელ საწარმოში, ხის წნული ნივთების დამამზადებელ სახელოსნოში, შექმნას კერძო წარმოება და წარმოისაკუთარი ბიზნესი.

ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 16.29; 16.29.0; 31.0; 31.01; 31.01.0.

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდები: 7522; 7523

სტრუქტურა და მოდულები:

კვალიფიკაცია „ხის მხატვრული დამუშავება“ მოიცავს 9 სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ მოდულს ჯამური 46 კრედიტის ოდენობით. ხის მხატვრულ დამუშავებაში მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს **78** კრედიტი და 10 კრედიტი არჩევითი მოდულები.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა

მოცულობა: 89 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა: 16,02 სასწავლო თვე

არაქართულენოვანი ენოვანი სტუდენტებისათვის 104 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა: 18,72 სასწავლო თვე



იატაკისა და ფილის სამუშაოები

პროგრამის სახელწოდება - იატაკისა და ფილის სამუშაოები

სარეგისტრაციო ნომერი - 07317-3

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით მიეკუთვნება დეტალურ სფეროს „მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია“, კოდი: 0732

მიზანი

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მშენებლობის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას. კერძოდ იატაკისა და ფილის სამუშაოების შესასრულებლად.

დაშვების წინაპირობა/წინაპირობები: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

იატაკისა და ფილის სამუშაოებში მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შეიძლება დასაქმდეს სამოქალაქო და სამრეწველო შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე ღია ან/და დახურულ სივრცესა და სიმაღლეზე. ის შეიძლება იყოს თვითდასაქმებული ან დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სამშენებლო-სარემონტო და დიზაინერულ კომპანიებში, სახელმწიფო ან კერძო საწარმო-დაწესებულებაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებული იქნება შენობა-ნაგებობის მშენებლობასა ან მის რეკონსტრუქცია-გადლიერებასთან. მას სამუშაოების შესრულება მოუწევს სხვადასხვა კლიმატის პირობებში. დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს: სხვადასხვა სახის იატაკის მომწყობი; მომპირკეთებელი; ფილის დამგები; სამუშაო რგოლის უფროსი; ბრიგადის უფროსი.

სტრუქტურა და მოდულები

კვალიფიკაცია „იატაკისა და ფილის სამუშაოები“ მოიცავს 8 სავალდებულო პროფესიულ/დარგობრივ მოდულს ჯამური 53 კრედიტის ოდენობით. იატაკისა და ფილის სამუშაოებში მე-3 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს 77 კრედიტი. პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს „გაცნობითი პრაქტიკის“ სახით. გაცნობითი პრაქტიკის მიზანია, პროფესიულ სტუდენტს სწავლების დასაწყისში შეუქმნას წარმოდგენა სამშენებლო სფეროს, დასაქმების შესაძლებლობების, ორგანიზაციული მოწყობისა და პოზიციების, შრომითი ურთიერთობების შესახებ. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა, სასურველია, დაიგეგმოს შემდეგი თანმიმდევრობით: ზოგადი მოდულები, საერთო სავალდებულო პროფესიული მოდულები, შემდეგ კი თითოეული კვალიფიკაციის შესაბამისად განსაზღვრულ კონცენტრაციებში მოცემული პროფესიული მოდულები.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა

მოცულობა: 77 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა: 13,86 სასწავლო თვე

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 92 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა: 16,56 სასწავლო თვე



ვეტერინარია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ვეტერინარია V საფეხური

სარეგისტრაციო ნომერი - პ 09111

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის მიხედვით აღნიშნული კვალიფიკაცია განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „ვეტერინარია“ (კოდი 0841), აღმწერი - „შეისწავლის ცხოველების დაზიანებებისა და დაავადებების პრევენციას, დიაგნოსტიკასა და მკურნალობას, ასევე მათ ზოგადმოვლას. მოიცავს ვეტერინარულ კლინიკაში ავადმყოფი, დაზარალებული და დაუძლურებული ცხოველების მკურნალობას. ასევე მოიცავს ვეტერინარის ასისტენტის პროგრამასაც.“.

მიზანი

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური ვეტერინარი ტექნიკოსის მომზადება, რომელიც, უფლებამოსილების ფარგლებში, შეძლებს ცხოველთა მკურნალობას, მათ დაავადებებსა და დაზიანებებზე, ვეტერინარი ქირურგის ასისტირებას, დაკვლის წინა და დაკვლის შემდგომ პროცესებში მონაწილეობას და სხვ.

დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

დასაქმების შესაძლებლობები

ვეტერინარიაში მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს ვეტერინარულ კლინიკაში, ფერმერულ მეურნეობაში, ვეტერინარულ აფთიაქში, ზოოპარკში, და ლექსიკა - ზოომდაზიანებაში, ცხოველთა თავშესაფარში, ვეტერინარულ ლაბორატორიაში, საკონსულტაციო ცენტრებში, ვივარიუმში, ცხოველთა სასაკლაოზე, ხორცის გადამამუშავებელ საწარმოებში, ვეტერინარული პრეპარატების, ხელოვნური დათესვლის საწარმოებში, ცხოველური ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოებში. ასევე შესაძლოა იყოს თვითადასაქმებული. დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის - ISCO-08-ს მიხედვით დასაქმების სფეროები (3240)

დამხმარე პერსონალი/სპეციალისტი ვეტერინარიაში ვეტერინარ-ტექნიკოსი ექთან-ვეტერინარი ვეტერინარის ასისტენტი

საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი ეკონომიკური საქმიანობის სახეები (2016 წ.) - სექცია M პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, განყოფილება 75 - ვეტერინარული საქმიანობები

სტრუქტურა და მოდულები

ვეტერინარიის ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს 120 კრედიტის რაოდენობის შემდეგი სახის მოდულებს:

ზოგადი მოდულები ჯამურად 16 კრედიტი

დარგობრივი საბაზისო მოდულები ჯამურად 42 კრედიტი

პროფესიული/დარგობრივი მოდულები ჯამურად 22 კრედიტი

კლინიკური სწავლების მოდულები ჯამურად 40 კრედიტი

პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:

მოცულობა: 120 კრედიტი, 22 თვე

არაქართულენოვან სტუდენტებისათვის 150 კრედიტი, 27 თვე



ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება

სარეგისტრაციო ნომერი: 09112-პ

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში

განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორში აღნიშნული კვალიფიკაციები შეესაბამება - „საკვები პროდუქტების გადამამუშავება“- კოდი 0721, აღმწერი - „საკვები პროდუქტების გადამამუშავება - შეისწავლის საკვები პროდუქტებისა და სასმელების გადამამუშავებასა და შეფუთვის, ასევე საკვები პროდუქტების წარმოებისა და დისტრიბუციის დროს გამოყენებულ მოწყობილობებსა და პროცედურებს“.

მიზანი

შემუშავებული იქნას ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი სპეციალისტის მომზადება,რათა შრომის ბაზარი უზრუნველყოფილ იქნას კონკურენტუნარიან კადრით სასურსათო პროდუქტების წარმოებისთვის.

დაშვების წინაპირობა სრული ზოგადი განათლება

დასაქმების შესაძლებლობები

სასურსათო პროდუქტების წარმოებისშესაბამისი მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისკურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს ხორცის გადამამუშავებლად,საკვებისა და მსგავსი პროდუქტების დასამუშავებელი მანქანების ოპერატორად სახელმწიფო ან კერძო კომპანიებში.ეროვნული კლასიფიკატორი ეკონომიკური საქმიანობის სახეები(2016წ.) სფერო განსაზღვრულია - სექცია C - დამამუშავებელი მრეწველობა: 10 -კვების პროდუქტების წარმოება.

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO): 8160 - საკვებისა და მსგავსი პროდუქტების დასამუშავებელი მანქანების ოპერატორები, 7511 - ხორცის და მსგავსი საკვები პროდუქტების გადამამუშავებლები.

სტრუქტურა და მოდულები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო პროდუქტების წარმოება“ მოიცავს მეოთხე საფეხურის პროფესიულ კვალიფიკაციას სასურსათო პროდუქტების წარმოებაში კერძოდ „ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება“;

სასურსათო პროდუქტების წარმოებაში მეოთხე საფეხურისპროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად „ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოების“ კონცენტრაციის/არჩევითი მიმართულების გავლის შემთხვევაში,პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 85 კრედიტი, რომელთაგან 15 კრედიტი არის ზოგადი მოდულები,18 კრედიტი არის საერთო სავალდებულო პროფესიული/დარგობრივი მოდულები, 52კრედიტი არის პროფესიული/დარგობრივი მოდულები.

პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:

მოცულობა: 85 კრედიტი, 15,3 თვე

არაქართულენოვან სტუდენტებისათვის 115 კრედიტი, 20,7 თვე



1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ვებტექნოლოგიები / Web Technology

2. სარეგისტრაციო ნომერი 06114-ს

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში/Secondary Vocational Qualification in Web Technology

4. მიზანი:

პროგრამის მიზანია ვებტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნან ვებგვერდისთვის ვებინტერფეისის როგორც დიზაინი, ასევე - დეველოპინგი (front_ის მხარე).

5. დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ვებდეველოპერად, ვებგვერდის მხარდაჭერ სპეციალისტად ან ვებდიზაინერად.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62,62.0, 62.01.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 3514

7. სტრუქტურა და მოდულები

საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის პროგრამა „ვებტექნოლოგიები“ მოიცავს 6 ზოგად მოდულს - ჯამური 17 კრედიტის მოცულობით, 9 პროფესიულ მოდულს - ჯამური 46 კრედიტის მოცულობით.

ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 63 კრედიტი და ერთი არჩევითი მოდული - ჯამური 2 კრედიტი, სულ 65 კრედიტი.

„

„ვებტექნოლოგიის“ პროგრამაში: „მოდულების, ქართულიენა A2 და ქართულიენა B1 გავლასავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიულ სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებამოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების ადამცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი თავის წინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:

- მოცულობა: ქართულ ენოვანი სტუდენტებისთვის 65 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა, 12 თვე
- მოცულობა არაქართულ ენოვანი სტუდენტებისათვის 95 კრედიტი,
- სავარაუდო ხანგრძლივობა 17 თვე



1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/Construction of Transport Infrastructure

2.სარეგისტრაციო ნომერი - 07318-3

3.მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში/ Basic Vocational Qualification in RoadConstruction

4.მიზანი:

პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სფეროს უზრუნველყოფს კომპეტენტური კადრებით, რომლებიც შეძლებენ გზების (საავტომობილო და სარკინიგზო) მშენებლობას, მომსახურებას.

5.დაშვების წინაპირობა - საბაზო განათლება.

6.დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

„საავტომობილო გზების მშენებლობის“ კონცენტრაციის გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება გზების მშენებლობასთან, რეაბილიტაციასა და აექსპლუატაციასთან.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 42.1
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 9312

7.სტრუქტურა და მოდულები

„საავტომობილო გზების მშენებლობის“ გავლის შემდეგ საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **79 კრედიტი**, რომელთაგან 14 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 18 კრედიტი არის საერთო პროფესიული მოდულები, 47 კრედიტი არის კონცენტრაცია საავტომობილო გზების მშენებლობის მოდულები. დაერთ არჩევით მოდულს 5 კრედიტის მოცულობით „მოდულის, „ქართულიენა A2“ (15კრედიტი) გავლასავალდებულოა მხოლოდ იმპროფესიულის ტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისუფლებამოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების სამინისტროს 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ქართულ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:

ქართულ ენოვანი სტუდენტებისათვის 84 კრედიტი, 16 თვე

არაქართულ ენოვანი სტუდენტებისათვის 99 კრედიტი, 18 თვე



საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების შეფასების სისტემა

ა) პროფესიული სტანდარტების საფუძველზე შექმნილი პროგრამების შეფასების სისტემა

კრედიტის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც აისახება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #121/ნ 2010 წლის 10 დეკემბერი ქ. თბილისი. “პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება ამ მუხლის პუნქტით 2 (ა) გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მეშვეობით. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (ა) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (ბ) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (გ) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (დ) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (ე) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასება 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და რომ ეძლევა შესაძლებლობა, ჩააბაროს დამატებითი გამოცდა დამოუკიდებლად მუშაობის შემდეგ;

ბ.ბ) (F) ჩაჭრა 40% ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია და მითითებულია 100 ქულაში შუალედური და საბოლოო შეფასების წილი.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების ერთჯერადი შეფასება მხოლოდ საბოლოო გამოცდის საფუძველზე. შეფასება უნდა მოიცავდეს: ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) საბოლოო გამოცდის შეფასებას; საბოლოო გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში გამოცდიდან, სულ მცირე, 10 დღეში პროფესიულ სტუდენტს დამატებითი გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს. სასწავლო კომპონენტისათვის გამოყოფილი კრედიტების ჩათვლა შესაძლებელია საბოლოო შეფასებისას დადებითი შედეგების მიღების შემთხვევაში;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ საკონტაქტო საათებზე დასწრება სავალდებულოა კოლეჯის მიერ შემუშავებული მარეგულირებელი აქტის შინაგანაწესის, სესაბამისად. სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი საკონტაქტო საათების 20%-ზე მეტის გაცდენის შემთხვევაში სტუდენტს უწყდება სტუდენტის სტატუსი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება მრავალკომპონენტური სისტემით და დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად-მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასების სისტემა შედგენილია მოქმედი სტენდარტის შესაბამისად და გაწერილია სილაბუსში. ნებისმიერ სასწავლო კომპონენტში შეფასება ითვალისწინებს I/II შუალედურ შეფასებას და დასკვნით გამოცდის შეფასებას.



ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამების შეფასების სისტემა:

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

დუალურ პროგრამაში პროგრამების შეფასების სისტემა:

კრედიტი მიენიჭება მიღწეული სწავლის შედეგის დადასტურებისას. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებშიც:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტროს მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა მოხდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.